საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 8 21 0000331102

06/04/2021

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^2 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის დებულების მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 2 წელი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 1 სექტემბერს სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №751560 (ცენტრში რეგისტრაციის №757875, 01.09.2020) სააკრედიტაციო განაცხადი „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერიგნის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 30 სექტემბრის №919310 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 4 დეკემბრის №1158389 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 28 და 29 დეკემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო 2021 წლის 27 იანვარს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამ ისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	•			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		•		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	•			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	•			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	•			

2.3.საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშში და მასზე თანდართულ დოკუმენტებში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 23 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და მეორე სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დანართი №1-ით გათვალისწინებულ „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 6 აპრილის №330996 სხდომის ოქმის №02 ნაწილი, ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
4.1. კონცენტრაციების სწავლის შედეგები გაიწეროს ცალ-ცალკე;
4.2 სამაგისტრო საკვლევი თემების თემატიკა იყოს სინქრონიზაციაში აქტუალურ და თანაედროვე ტენდენციებთან და დარგში არსებულ თანამედროვე ლიტერატურის დონესთან მისადაგებული;
4.3 შემუშავდეს პროგრამის დეტალური ბიუჯეტი, სადაც გამოკვეთილი იქნება სამაგისტრო კვლევების დაფინანსების წყარო;
4.4. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გასათვალისწინებელია როგორც დამსაქმებლთა რეკომენდაციები სწავლების პრაქტიკულ მხარესა და პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებაზე მეტი ორიენტირების შესახებ, ასევე დარგის სპეციფიკა, მისი განვითარების სწრაფად მზარდი ტემპი და შესაბამისი გამოწვევები;
4.5 საჭიროა გაანალიზდეს პროგრამაზე წარმატებული სწავლისა და კვლევისთვის აუცილებელი წინარე ცოდნა ან/და გამოცდილება და პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად

დაწესდეს გარკვეული ცოდნა და/ან სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში, ან პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა განისაზღვროს რელევანტური პროგრამების ან მიმართულებების იდენტიფიცირების საფუძველზე;
4.6 სააკრედიტაციო სპეციალობის სპეციფიკის, შესაბამისი გამოწვევებისა და იმის გათვალისწინებით, რომ შემოდის უფრო რთული სისტემები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროგრამის გაძლიერებას თეორიული და პრაქტიკული საკითხებით გაზომვების თანამედროვე ტექნოლოგიების (ბიოჩიპები, მობილური საზომი მოწყობილობები და შესაბამისი ოპერაციული სისტემები, ოპტიკურ ბოჭკოვანი სენსორები) მიმართულებით.

დაწესებულებას ასევე განესაზღვრა შემდეგი რჩევები:

ა) კვლევით კომპონენტზე სტუდენტთა დაშვების წინაპირობად სასურველია განისაზღვროს პროგრამის პროფესიულ ბლოკში შემავალი სავალდებულო კურსების ინტეგრირებული, ან რაიმე სხვა ფორმით გავლა, რათა სტუდენტმა სწორად მოახდინოს საკვლევი ინტერესების იდენტიფიცირება და საკვლევი საკითხის ჩამოყალიბება;
ბ)სილაბუსებში მიეთითოს უახლესი ლიტერატურა, ნათლად გამოიკვეთოს პროგრამის მიზნები, შეფასება, ტრანსფერული უნარები;
გ) მაგისტრანტებში ამაღლდეს ელექტრონული სამეცნიერო ბაზების ცნობადობა, დაიხვეწოს მათი გამოყენების მექანიზმი;
დ) ამაღლდეს ცნობადობა ინტელექტუალური საკუთრებისა (ინტელექტუალური საკუთრება“ მოიცავს სახელდობრ, საავტორო უფლებებს, მათ შორის კომპიუტერული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების დაცვას) და მისი დაცვის მექანიზმის მიმართ;
ე) გასაუმჯობესებელია ბიბლიოთეკაში არსებული ბეჭდური უცხოური გამოცემების სწრაფად მიწოდების მექანიზმი.
5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 6 აპრილს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ